საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

თბილისი

11/05/2018 N 56/ო

სამხედრო სავალდებულო სამსახურში მოქალაქეთა 2018 წლის საგაზაფხულო გაწვევის მიმდინარეობის პერიოდში გამოვლენილი საკითხების შესწავლის მიზნით სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ

„საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 27 დეკემბრის №594 დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-7 მუხლის მე-3 პუნქტის „ფ“ ქვეპუნქტისა და ამავე მუხლის მე-8 პუნქტის საფუძველზე,

ვბრძანებ:

1. სამხედრო სავალდებულო სამსახურში მოქალაქეთა 2018 წლის საგაზაფხულო გაწვევის მიმდინარეობის პერიოდში გამოვლენილი საკითხების შესწავლის, გადაწყვეტისათვის წინადადებების მომზადებისა და პროცესის ეფექტიანი განხორციელების ხელშეწყობის მიზნით შეიქმნას სამუშაო ჯგუფი (შემდგომში - სამუშაო ჯგუფი) შემდეგი შემადგენლობით:

ა) **ილია ბეგიაშვილი** - საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრის მოადგილე, სამუშაო ჯგუფის თავმჯდომარე;

ბ) **გოჩა ხარშილაძე** - საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს მობილიზაციისა და სამხედრო სამსახურში გაწვევის კოორდინირების დეპარტამენტის უფროსი (პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი), სამუშაო ჯგუფის წევრი;

გ) **დავით ფერაძე** - საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს მობილიზაციისა და სამხედრო სამსახურში გაწვევის კოორდინირების დეპარტამენტის უფროსის მოადგილე (პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის მოადგილე), სამუშაო ჯგუფის წევრი;

დ) **ინგა მაზანაშვილი** - საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს მობილიზაციისა და სამხედრო სამსახურში გაწვევის კოორდინირების დეპარტამენტის მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი, სამუშაო ჯგუფის წევრი, სამუშაო ჯგუფის მდივანი.

2. სამუშაო ჯგუფში, სამუშაო ჯგუფის წევრების სტატუსით, მონაწილეობის მიღება ეთხოვოთ:

ა) **ივანე ბეინაშვილს** - საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს განსაკუთრებულ დავალებათა დეპარტამენტის შტაბის (მთავარი სამმართველო) G1 სამმართველოს (ადმინისტრაცია) უფროსს;

ბ) **გიორგი ალადაშვილს** - საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს პენიტენციური დეპარტამენტის დირექტორის მოადგილეს;

გ) **ირაკლი ჭანტურიძეს** - სსიპ - ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურის სამართლებრივი უზრუნველყოფის დეპარტამენტის უფროსს;

დ) **ვალერი ჯაფარიძეს** - სსიპ - ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურის სოციალურ საკითხთა და სააღრიცხვო-ანალიტიკური დეპარტამენტის უფროსის მოადგილეს;

ე) **ეკატერინე მაჩიტაძეს** - საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს სამართლებრივი უზრუნველყოფის დეპარტამენტის უფროსის მოადგილეს;

ვ) **ნელი პავლიაშვილს** - სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის კადრების მთავარი სამმართველოს უფროსის მოადგილეს;

ზ) **გივი ბარბაქაძეს** - სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ობიექტების დაცვის მთავარი სამმართველოს პირადი შემადგენლობის წვრთნისა და მომზადების განყოფილების უფროსს;

თ) **მამუკა თომაშვილს** - საქართველოს თავდაცვის სამინისტროს J1 პირადი შემადგენლობის დეპარტამენტის უფროს ოფიცერს;

ი) **ზაურ შავდათუაშვილს** - სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის ადმინისტრაციის (დეპარტამენტი) უფროსს;

კ) **ლელა წოწორიას** - საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ჯანმრთელობის დაცვის დეპარტამენტის საზოგადოებრივი ჯანდაცვისა და პროგრამების სამმართველოს მთავარ სპეციალისტს.

3. სამუშაო ჯგუფის საქმიანობის ვადად განისაზღვროს პერიოდი ბრძანების ძალაში შესვლიდან 2 (ორი) თვე.

4. სამუშაო ჯგუფი უფლებამოსილია ამ ბრძანებით განსაზღვრული მიზნების განსახორციელებლად, ჩაატაროს სამუშაო ჯგუფის სხდომები. სამუშაო ჯგუფის სხდომას იწვევს სამუშაო ჯგუფის თავმჯდომარე საკუთარი ინიციატივით ან სამუშაო ჯგუფის წევრის წერილობითი თხოვნის საფუძველზე.

5. სამუშაო ჯგუფის სხდომა უფლებამოსილია, მიიღოს გადაწყვეტილება, თუ მას ესწრება სამუშაო ჯგუფის წევრთა ნახევარზე მეტი.

6. სამუშაო ჯგუფის სხდომაზე გადაწყვეტილება მიიღება სამუშაო ჯგუფის დამსწრე წევრების უმრავლესობის მიერ მხარდაჭერის შემთხვევაში.

7. სამუშაო ჯგუფის სხდომაზე განხილული და გადაწყვეტილი საკითხები აისახება სამუშაო ჯგუფის სხდომის ოქმში, რომელსაც ხელს აწერს სამუშაო ჯგუფის თავმჯდომარე და მდივანი.

8. საჭიროებისამებრ, სამუშაო ჯგუფის საქმიანობასთან დაკავშირებული დამატებითი საკითხების განსაზღვრის უფლებამოსილება მიენიჭოს სამუშაო ჯგუფს.

9. დაევალოს საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს მობილიზაციისა და სამხედრო სამსახურში გაწვევის კოორდინირების დეპარტამენტს სამუშაო ჯგუფის მუშაობის პროცესის კოორდინირება.

10. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

11. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ, №6).

მაია ცქიტიშვილი

მინისტრი